სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია** Socio-Political and Tourism Geography of the World
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	საზოგადოებრივი გეოგრაფიის ბაკალავრი Bachelor of Human Geography
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	240 კრედიტი (ECTS) **საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 45 კრედიტი (ECTS):** 20 კრედიტი - საფაკულტეტო საბაზისო სავალდებულო კურსები 15 კრედიტი - სამი საფაკულტეტო შესავალი კურსი; 10 კრედიტი - ორი საფაკულტეტო არჩევითი კურსი; **ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები - 125 კრედიტი (ECTS):** 90 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსები, მათ შორის, საბაკალავრო ნაშრომი; 35 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსები; **თავისუფალი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი (ECTS)** **დამატებითი (minor) სპეციალობის ან სხვა სასწავლო კურსები - 60 კრედიტი (ECTS).**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი /კოორდინატორი	**გიორგი გოგსაძე,** გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **იოსებ სალუქვაძე,** გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა[1]	• საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ

[1]პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით.

	ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით; • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია** ახალგაზრდა თაობის მომზადება დარგის შესაბამის სპეციალისტებად (სწავლების საფეხურის შესაბამისად), რომლებიც დაინტერესებულნი არიან მიიღონ მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების სივრცე–დროითი ასპექტების, ტურიზმის ინდუსტრიის მდგრადი განვითარების ტენდენციების გეოგრაფიული თავისებურებების შესახებ და შეიძინონ სტატისტიკურ მასალებთან მუშაობის, გის ტექნოლოგიების გამოყენების, ზოგადი შეფასების და ანალიზის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც ხელს უწყობს კურსდამთავრებულებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო/საზოგადოებრივი/ბიზნეს ორგანიზაციების მართვაში და მათი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებაში.
სწავლის შედეგები	**საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:**
ა) ცოდნა და გაცნობიერება	• საფუძვლიანად აღწერს დედამიწის საზოგადოებრივი და ბუნებრივი სისტემების განვითარების ძირითად თავისებურებებს, მის ფარგლებში მიმდინარე პროცესებს, მათ ისტორიასა და მატერიალურ საფუძველს; • განმარტავს გლობალურ დონეზე სოციალურ-ეკონომიკური და/ან ბუნებრივი კომპლექსური პროცესების მიმდინარეობის თავისებურებებს და ურთიერთდამოკიდებულებას გეოგრაფიულ და სოციალურ გარემოს შორის; • კრიტიკული გააზრების საფუძველზე განმარტავს რეგიონების, ადგილებისა და მოვლენების მრავალფეროვნებასა და ურთიერთდამოკიდებულებას.
გ) უნარები	• დამოუკიდებლად მოიძიებს ზოგადი გეოგრაფიული მეცნიერებების სფეროში არსებულ მასალას (მათ შორის ინტერნეტის საშუალებით და საველე პირობებში), ახდენს მათ განზოგადებას, ანალიზს, შეფასებას; ინფორმაციის ტრანსფორმაციის საფუძველზე წერს ანგარიშებს;

	• კონკრეტული რჩევების საფუძველზე შეიმუშავებს დასკვნებს საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების და მოვლენების შესახებ; • საზოგადოებრივი სისტემების განხილვისას იყენებს სტატისტიკურ, კარტოგრაფიულ და გის-ის მეთოდებს; • ამზადებს და ატარებს ზეპირ პრეზენტაციებს, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენა(ებ)ზე; • პრაქტიკაში იყენებს კარტოგრაფიულ და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების მეთოდებს და მიდგომებს; • მართებულად იყენებს დარგობრივ ცნებებსა და ტერმინოლოგიას.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• მითითების საფუძველზე, თანამედროვე თეორიებისა და მიდგომების გამოყენებით ატარებს კვლევას სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების და ტურიზმის ტერიტორიული ასპექტების შესახებ; • საკუთარ კვლევაში იყენებს თანამედროვე თეორიებს და მიდგომებს; კვლევას წარმართავს სამეცნიერო ეთიკისა და პრინციპების დაცვით.
სწავლება-სწავლის მეთოდები	ვერბალური (მონოლოგი, დიალოგი); ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის მეთოდი, საველე კვლევისა და დაკვირვების მეთოდი, შედარებითი ანალიზის მეთოდი, მონაცემთა ვიზუალიზაციისა და კარტოგრაფიული მეთოდი, სტატისტიკური ანალიზის მეთოდი, გეოინფორმაციული (გის) და დისტანციური ზონდირების მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი, გუნდური მუშაობა და დისკუსია, ელექტრონული სწავლების მეთოდები.
შეფასების სისტემა	დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. **შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** **ა)** (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; **ბ)** (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

	გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; **დ)** (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; **ე)** (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; **არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:** **ვ)** (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; **ზ)** (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. *დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.* შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ფორმები და ქულები** *(სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის[2] მიხედვით):* **საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.** **საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით.** საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი

[2] საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი https://bit.ly/2WhKPsQ

	მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში **„(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა“**, შეფასების მიღების შემთხვევაში, დაინიშნება დამატებითი გამოცდა, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში; **„(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები“**, შეფასების მიღების შემთხვევაში, ნაშრომის დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია. **საბაკალავრო ნაშრომს აფასებს ნაშრომის რეცენზენტი და კომისია.** საბოლოო შეფასება (რეცენზენტისა და კომისიის), მაქსიმალური ქულა – 100. დადებითი შეფასება – მინიმუმ 51 ქულა. • **რეცენზენტის შეფასება - 60 ქულა** • **კომისიის შეფასება** (ნაშრომის ზეპირი წარდგენის დროს) - **40 ქულა** **ზეპირ წარდგენაზე დაშვების წინაპირობა:** სტუდენტს რეცენზენტის შეფასების შემდეგ, დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 ქულისა. **შეფასების კრიტერიუმები:** **რეცენზენტის შეფასება** - მაქსიმალური ქულა - 60, მინიმალური ქულა - 30. ***ა) შინაარსობრივი მხარე - 40 ქულა:*** • საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება; • პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის ხარისხი; • კვლევის მეთოდოლოგია; • არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა; ***ბ) ფორმალური მხარე - 20 ქულა:*** • ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა; • გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი და სხვ. **კომისიის შეფასება** (ნაშრომის ზეპირი წარდგენის დროს) - მაქსიმალური ქულა – 40, მინიმალური ქულა - 21.

	ა) ნაშრომის შინაარსობრივი მხარე - 15 ქულა: • საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება; • ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა; • კვლევის მეთოდოლოგია, პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის ხარისხი. *ბ) საპრეზენტაციო მოხსენების რელევანტურობა საბაკალავრო ნაშრომთან – 10 ქულა.* *გ) აუდიტორიასთან კომუნიკაცია ეთიკის სტანდარტების დაცვით - 5 ქულა.* *დ) ნაშრომისა და პრეზენტაციის ფორმალური მხარე – 10 ქულა:* • საპრეზენტაციო მასალის გაფორმება და შესრულების დონე • ნაშრომის/პრეზენტაციის ენობრივი და სტილისტური გამართულობა.
დასაქმების სფეროები	კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საქალაქო და ბუნებრივი გარემოს დაგეგმვისა და მართვის სამსახურებში, მიწის მართვის სისტემაში, ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ორგანოებსა და კომპანიებში, სატრანსპორტო ორგანიზაციებში, საკონსულტაციო კომპანიებში, საბანკო და საფინანსო დაწესებულებებში/ფირმებში, მასმედიაში, სასტუმრო და ტურიზმის სფეროში, საგარეო ურთიერთობათა სისტემაში, შრომის ბაზართან და სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სფეროებში.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	ბაკალავრიატის საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტისთვის შეადგენს 2250 ლარს. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის და ასევე სხვა მიმართულების პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები, მოწვეული პედაგოგები, დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალი. **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:**

	• თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; • თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №11); • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერ-სიტეტო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის ქუჩა №11; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი, ი. ჭავჭა-ვაძის გამზ. №1, I კორპუსი); • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პლატფორმა; • თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზ-ღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვ.; • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (თსუ -ს VI კორპუსი და ფიზიკის ინსტიტუტი); • ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვ.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამას ფინანსურად უზრუნველყოფს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. • სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი; იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და

	უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება. საბაკალავრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin"-ის გამოყენებით. ამ მიზნით ნაშრომის დაცვამდე ბაკალავრი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, მის პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე http://e-learning.tsu.ge/ .
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	**მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიას** ყოველწლიურად შეუძლია მიიღოს 80 - მდე სტუდენტი. **„მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის"** საბაკალავრო საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს სთავაზობს დამატებით (minor) პროგრამას (იხ. დანართი № 1).

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკულ მეცნიერებათა

მიმართულება: საზოგადოებრივი გეოგრაფია

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

კრედიტების რაოდენობა: 240 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: გიორგი გოგსაძე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
იოსებ სალუქვაძე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 29/07/2021; № 69/2021 (დანართი № 40)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული): №32348; 27/12/2021- 31/12/2028
https://eqe.ge/ka/deqars/439/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[3] ნომერი და თარიღი): №22/2022 – 11/03/2022; №61/2022 - 26/07/2022; №95/2022 -07/10/2022; №24/2023 - 20/03/2023; №91/2023 – 11/09/2023; №28/2024 – 22/02/2024; №62/2024 – 29/04/2024; №131/2024 – 28/11/2024.

[3] https://www.tsu.ge/ka/legalakad

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო სასწავლო კურსები/მოდულები - 45 კრედიტი (ECTS) მათ შორის:												
საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 20 კრედიტი (ECTS)												
№	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	კრედიტი (ECTS)	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
				საკონტაქტო			დამოუკიდებელი	სულ		შემოდგომა	გაზაფხული	
				ლექცია	სემინარი	სავარჯიშო						
1		სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები[4]	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნინო დურგლიშვილი თეონა მატარაძე მარინა ბურძენიძე შორენა თურქიაშვილი ნათელა დონაძე თამარ ქარაია

[4] სასწავლო კურის არჩევა ხდება მე-2 სემესტრიდან.

												მირანდა გიორგაშვილი მირანდა აბრამიშვილი
2		ინგლისური ენა 1 (A1.1; A2.1; B1.1; B2.1)	5	30	30	5	60	125	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის პედაგოგი
3		ინგლისური ენა 2 (A1.2; A2.2; B1.2; B2.2)	5	30	30	5	60	125	ინგლისური ენა 1		✓	ენების ცენტრის პედაგოგი
4		აკადემიური წერა	5	15	15	0	95	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	რევაზ ჯორბენაძე თამარ ვეფხვაძე ნათია სვანიძე ლელა წიქარიშვილი თინათინ მაჭარაშვილი მირანდა გიორგაშვილი მირანდა აბრამიშვილი მარიამ კვერღელაძე თეონა თაბუაშვილი
საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - მინიმუმ 10 კრედიტი (ECTS)												
1		გამოყენებითი ეკონომიკა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ჯამლეტ ჯანჯღავა ზურა გამთენაძე
2		კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	გუგული მაღრაძე ლაშა ტუღუში მარეხ დევიძე მირანდა მიქაძე
3		ლოგიკა	5	30	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მოწვეული ლექტორი
4		ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	კონსტანტინე შუბითიძე

5		მეტყველების კულტურა (არაჟურნალისტებისთვის)	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	იური ფოფხაძე ნინო გელოვანი
6		ფილოსოფიის საფუძვლები	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ვალერიან რამიშვილი გიორგი გრიგოლაშვილი
7		საზოგადოებრივი განვითარება და ბუნებრივი გარემო	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ვალერიან მელიქიძე
8		მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ტრანსფორმაცია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	ჯაბა უროტაძე
9		გამოყენებითი გეოინფორმაციული სისტემები	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		ვლადიმერ ჩხაიძე დავით სვანაძე
10		საქართველო მსოფლიოს ისტორიულ-გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	რევაზ გაჩეჩილაძე ტატიანა სიჭინავა
11		სტატისტიკა	5	30	30	5	60	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ომარ ფურთუხია პეტრე ბაბილუა მზევინარ ფაცაცია სიმონ ელოშვილი ნორა კეკელია მიმოზა ტყებუჩავა ქეთევან მანჯგალაძე
საფაკულტეტო არჩევითი შესავალი სასწავლო კურსები - მინიმუმ 15 კრედიტი (ECTS) (სტუდენტებს ევალებათ 3 საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსის გავლა)												
1		სოციალური მუშაობის შესავალი	5	15	15	2	93	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნათელა ფარცხალაძე ზურაბ ტატანაშვილი

												გიორგი წოწკოლაური მაგული შაღაშვილი სალომე ნამიჭეიშვილი ნინო შატბერაშვილი
2		სოციოლოგიის შესავალი	5	15	15	6	89	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ამირან ბერძენიშვილი იაგო კაჭკაჭიშვილი კახა ქეცბაია შორენა თურქიაშვილი
3		საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	5	30	15	6	74	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ფიქრია ასანიშვილი გვანცა აბდალაძე გვანცა შიშინაშვილი
4		ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მანანა შამილიშვილი მარი წერეთელი თინათინ მაჭარაშვილი ნათია სვანიძე
5		პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სალომე დუნდუა მალხაზ მაცაბერიძე ზვიად აბაშიძე კორნელი კაკაჩია ელენე გელაშვილი ვლადიმერ ნაფეტვარიძე სანდრო ტაბატაძე
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 90 კრედიტი (ECTS)												
1		საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	პროფესორი იოსებ სალუქვაძე; პროფესორი თამარ დოლბაია;

												ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე მოწვეული პედაგოგი ლუიზა აბაზაძე
2		შესავალი გეოინფორმაციულ სისტემებში	5	30	30	5	60	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ასისტენ-პროფესორი ვლადიმერ ჩხაიძე
3		ეკონომიკური და სოციალური კარტოგრაფია	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	მოწვეული პედაგოგი ლალი ქუთათელაძე
4		ზოგადგეოგრაფიული საველე-საწარმოო პრაქტიკა[5]	5	0	45	3	77	125	წინაპირობის გარეშე		✓	ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი
5		ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	პროფესორი თამარ დოლბაია მოწვეული პედაგოგი ელენე სალუქვაძე
6		საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია	5	30	30	5	60	125	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	✓	✓	ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე
7		მსოფლიოს ქალაქები: გეოურბანისტიკის საფუძვლები	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓		პროფესორი იოსებ სალუქვაძე
8		სივრცე და პოლიტიკა	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	პროფესორი გიორგი გოგსაძე
9		მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია (ევროპა, დიდი	5	30	30	5	60	125	დარგობრივი ინგლისური ენა 2	✓		ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე მოწვეული პედაგოგი ლუიზა აბაზაძე

[5] სასწავლო კურის არჩევა ხდება მე-3 სემესტრიდან.

		ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილო ამერიკა)										
10		მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია (აზია, სამხრეთი ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია და ოკეანეთი)	5	30	30	5	60	125	მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია (ევროპა, დიდი ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილო ამერიკა)		✓	ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე; მოწვეული პედაგოგი ლუიზა აბაზაძე
11		მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია	5	15	30	2	78	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი; მოწვეული პედაგოგი ნინო ჯანელიძე
12		მოსახლეობის გეოგრაფია	5	30	30	5	60	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	პროფესორი გიორგი გოგსაძე ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე მოწვეული პედაგოგი მაია ჟღენტი
13		დარგობრივი ინგლისური ენა 1	5	30	30	5	60	125	ინგლისური ენა 2	✓		ენების ცენტრის პედაგოგები მარინე ქევხიშვილი; თამარ იაშვილი,
14		დარგობრივი ინგლისური ენა 2	5	30	30	5	60	125	დარგობრივი ინგლისური ენა 1		✓	ენების ცენტრის პედაგოგები მარინე ქევხიშვილი; თამარ იაშვილი
15		დარგობრივი ინგლისური ენა 3	5	30	30	5	60	125	დარგობრივი ინგლისური ენა 2	✓		ენების ცენტრის პედაგოგები მარინე ქევხიშვილი; თამარ იაშვილი

16		დარგობრივი ინგლისური ენა 4	5	30	30	5	60	125	დარგობრივი ინგლისური ენა 3		✓	ენების ცენტრის პედაგოგები მარინე ქევხიშვილი; თამარ იაშვილი
17		საბაკალავრო ნაშრომი	10	15			235	250	მინიმუმ 200 კრედიტი	✓	✓	პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 35 კრედიტი (ECTS)												
18		საზოგადოებრივი გეოგრაფია და სოციალური თეორიები (კლასიკური და თანამედროვე მიდგომები)	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		პროფესორი ამირან ბერძენიშვილი
19		საქართველოს ტურიზმის გეოგრაფია	5	15	30	2	78	125	მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია	✓	✓	ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი; მოწვეული პედაგოგი ნინო ჯანელიძე
20		კულტურული ტურიზმი (ეკონომიკის და ბიზნესის ფაკ-ის პროგრამიდან)	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		მოწვეული პედაგოგი ნიკო კვარაცხელია
21		კულტურის გეოგრაფია	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მოწვეული პედაგოგი ბაადურ წერეთელი მოწვეული პედაგოგი რუსუდან თევზაძე
22		ეკონომიკური, რეკრეაციული და ტურიზმის გეოგრაფია (საველე პრაქტიკა)	5	15	60	5	45	125	ზოგადგეოგრაფიული საველე-საწარმოო პრაქტიკა		✓	პროფესორი გიორგი გოგსაძე

23		ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე
24		გეოეკონომიკის საფუძვლები	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე		✓	ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე
25		დემოგრაფიის საფუძვლები	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე
26		პოსტსაბჭოთა სივრცის გეოგრაფია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		პროფესორი თამარ დოლბაია
27		მიგრაციის კვლევები (ინგლისურენოვანი ინტენსიური კურსი)	5	15	15	5	90	125	დარგობრივი ინგლისური ენა 1	✓		მოწვეული პედაგოგი ატილა მელეგი
28		ენების და რელიგიების გეოგრაფია (ინგლისურენოვანი ინტენსიური კურსი)	5	15	15	5	90	125	დარგობრივი ინგლისური ენა 1	✓		მოწვეული პედაგოგი სტენლი ბრიუნი
29		მთის მდგრადი განვითარება (ინგლისურენოვანი)	5	15	30	4	76	125	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი; დარგობრივი ინგლისური ენა 3	✓		პროფესორები: იოსებ სალუქვაძე ნორმან ბაქჰაუსი მოწვეული ლექტორები: გვანცა სალუქვაძე ანინა მიშელი თემურ გუგუშვილი
თავისუფალი კრედიტები - 10 ECTS												

დანართი № 1

მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია
დამატებითი (minor) პროგრამა

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია** (დამატებითი პროგრამა) **Socio-Political and Tourism Geography of the World** (Minor Program)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	-
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. **სულ 60 კრედიტი (ECTS):** **სავალდებულო კურსები - 35 კრედიტი (ECTS)** **არჩევითი კურსები - 25 კრედიტი (ECTS)**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი /კოორდინატორი	**გიორგი გოგსაძე,** გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **იოსებ სალუქვაძე,** გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკურ და ტურიზმის გეოგრაფიაში** დამატებითი (minor) პროგრამის შესრულება შეუძლია ბაკალავრიატის ნებისმიერი პროგრამის სტუდენტს
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის პროგრამის დამატებითი (minor) მიზანია სტუდენტმა მიიღოს მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების სივრცე–დროით ასპექტების შესახებ და შეიძინოს სტატისტიკურ მასალებთან მუშაობის, გეოგრაფიული პროცესების შეფასების და ანალიზის უნარ-ჩვევები.
სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	• აღწერს დედამიწის საზოგადოებრივი და ბუნებრივი სისტემების განვითარების ძირითად თავისებურებებს, მის ფარფლებში მიმდინარე პროცესებს, მათ ისტორიასა და მატერიალურ საფუძველს; • აღწერს დედამიწის საზოგადოებრივი და ბუნებრივი სისტემების განვითარების ძირითად თავისებურებებს,

	მის ფარგლებში მიმდინარე პროცესებს, მათ ისტორიასა და მატერიალურ საფუძველს; • აცნობიერებს და აღწერს გლობალურ დონეზე სოციალურ-ეკონომიკური და/ან ბუნებრივი კომპლექსური პროცესების მიმდინარეობის თავისებურებებს და ურთიერთდამოკიდებულებას გეოგრაფიულ და სოციალურ გარემოს შორის; • კრიტიკული გააზრების საფუძველზე განმარტავს რეგიონების, ადგილებისა და მოვლენების მრავალფეროვნებასა და ურთიერთდამოკიდებულებას.
გ) უნარები	• დამოუკიდებლად მოიძიებს ზოგადი გეოგრაფიული მეცნიერებების სფეროში არსებულ მასალას (მათ შორის ინტერნეტის საშუალებით და საველე პირობებში), ახდენს მათ განზოგადებას, ანალიზს, შეფასებას; ინფორმაცის ტრანსფორმაციის საფუძველზე წერს ანგარიშებს; • კონკრეტული რჩევების საფუძველზე შეიმუშავებს დასკვნებს საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების და მოვლენების შესახებ; • ამზადებს და ატარებს ზეპირ პრეზენტაციებს.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• მითითების საფუძველზე, თანამედროვე თეორიებისა და მიდგომების გამოყენებით, ატარებს კვლევას სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების და ტურიზმის ტერიტორიული ასპექტების შესახებ.
სწავლება-სწავლის მეთოდები	ვერბალური (მონოლოგი, დიალოგი); ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის მეთოდი, შედარებითი ანალიზის მეთოდი, დრო-სივრცითი ანალიზის მეთოდი, სტატისტიკური ანალიზის მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი, გუნდური მუშაობა და დისკუსია, ელექტრონული სწავლების (E-learning) მეთოდები.
შეფასების სისტემა	დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;

	გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. **შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** **ა)** (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; **ბ)** (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; **გ)** (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; **დ)** (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; **ე)** (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; **არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:** **ვ)** (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; **ზ)** (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. *დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.* შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).
დასაქმების სფეროები	დამატებით (minor) პროგრამაზე შეძენილი ცოდნა და უნარები დაეხმარება კურსდამთავრებულს დასაქმდეს საქალაქო და ბუნებრივი გარემოს დაგეგმვისა და მართვის სამსახურებში, მიწის მართვის სისტემაში, ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ორგანოებსა და კომპანიებში, სატრანსპორტო

	ორგანიზაციებში, საკონსულტაციო კომპანიებში, საბანკო და საფინანსო დაწესებულებებში/ფირმებში, მასმედიაში, სასტუმრო და ტურიზმის ბიზნესში, საგარეო ურთიერთობათა სისტემაში, შრომის ბაზართან და სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სფეროებში.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	ზოგადად, სწავლის წლიური საფასური შეადგენს 2250 ლარს
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	საბაკალავრო დამატებითი პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის აკადემიური, მოწვეული, დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალი. **პროგრამის გამართული მუშაობა უზრუნველყოფილია შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით:** ✓ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სათანადო ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ✓ თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; ✓ თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; ✓ თსუ-ს და ფაკულტეტის ბიბლიოთეკები; ✓ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის განხორციელებას ფინანსურად უზრუნველყოფს თსუ.
აკადემიური კეთილსინდისიერება	• სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	დამატებითი (minor) პროგრამის არჩევა სტუდენტის მიერ განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დამატებითი (minor) პროგრამის სტრუქტურა

დამატებითი (minor) პროგრამა - 60 კრედიტი (ECTS), მათ შორის: სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 კრედიტი (ECTS); არჩევითი სასწავლო კურსები - 25 კრედიტი (ECTS)												
№	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	კრედიტი (ECTS)	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
				საკონტაქტო			დამოუკიდებელი	სულ		შემოდგომა	გაზაფხული	
				ლექცია	სემინარი /პრაქტიკული	სგამოცდ						
სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 კრედიტი (ECTS)												
1		საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	პროფესორი იოსებ სალუქვაძე; პროფესორი თამარ დოლბაია; ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე; მოწვეული პედაგოგი ლუიზა აბაზაძე

2		საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია	5	30	30	5	60	125	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	✓	✓	ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე
3		მსოფლიოს ქალაქები: გეოურბანისტიკის საფუძვლები	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓		პროფესორი იოსებ სალუქვაძე
4		მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია	5	15	30	2	78	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი; მოწვეული პედაგოგი ნინო ჯანელიძე
5		საქართველოს ტურიზმის გეოგრაფია	5	15	30	2	78	125	მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია	✓	✓	ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი; მოწვეული პედაგოგი ნინო ჯანელიძე
6		მოსახლეობის გეოგრაფია	5	30	30	5	60	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	პროფესორი გიორგი გოგსაძე ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე მოწვეული პედაგოგი მაია ჟღენტი
7		ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	პროფესორი თამარ დოლბაია მოწვეული პედაგოგი ელენე სალუქვაძე
არჩევითი სასწავლო კურსები - 25 კრედიტი (ECTS)												
8		კულტურული ტურიზმი (ეკონომიკის და ბიზნესის ფაკ-ის პროგრამიდან)	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		მოწვეული პედაგოგი ნიკო კვარაცხელია
9		კულტურის გეოგრაფია	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მოწვეული პედაგოგი ბაადურ წერეთელი

												მოწვეული პედაგოგი რუსუდან თევზაძე
10		ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე
11		გეოეკონომიკის საფუძვლები	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე		✓	ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე
12		დემოგრაფიის საფუძვლები	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე
13		პოსტსაბჭოთა სივრცის გეოგრაფია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		პროფესორი თამარ დოლბაია
14		სივრცე და პოლიტიკა	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	პროფესორი გიორგი გოგსაძე
15		მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია (ევროპა, დიდი ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილო ამერიკა)	5	30	30	5	60	125	წინაპირობის გარეშე	✓		ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე;
16		მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია (აზია, სამხრეთი ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია და ოკეანეთი)	5	30	15	5	60	125	რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია 1		✓	ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე;

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელების ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა: _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____ ფაკულტეტის ბეჭედი: